საფუძველი: საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლი.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საფინანსო-ანალიტიკური სამსახური

ა ნ გ ა რ ი შ ი

2025 წლის პირველი იანვრიდან 2025 წლის 10 დეკემბრის ჩათვლით სსიპ - საფინანსო-ანალიტიკურ სამსახურში (შემდგომში - სამსახური) შემოვიდა საჯარო ინფორმაციის გაცემის 1 (ერთი) მოთხოვნა, რომლის შემთხვევაში სამსახურის უფროსის მოადგილის გიორგი ბაბაკიშვილის მიერ მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილების შესახებ. შესაბამისად, არცერთი გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ სამსახურში არ მიღებულა. ამასთან, საჯარო ინფორმაციაში შესწორების შეტანის შესახებ მოთხოვნა სამსახურში არ შემოსულა.

სამსახურში ფუნქციონირებს საქმისწარმოების ავტომატიზებული სისტემა (eDocument), შესაბამისად, საჯარო მონაცემთა ბაზის შექმნა აღნიშნულ პროგრამაში ხორციელდება ავტომატურ რეჟიმში.

სამსახურში პერსონალური მონაცემების დამუშავება (მათ შორის, პერსონალური მონაცემების შეგროვება, შენახვა ან/და სხვისთვის გადაცემა) ხორციელდება „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საართველოს კანონისა და „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საფინანსო ანალიტიკური სამსახურის პერსონალურ მონაცემთა დაცვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ“ სამსახურის უფროსის 2025 წლის 22 ივლისის №43 ბრძანებით განსაზღვრული წესითა და საფუძვლებით.

სამსახურში დასაქმებულების მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნების დარღვევისა და პასუხისმგებელი პირისათვის დისციპლინური სახდელის დადების ფაქტს ადგილი არ ჰქონია.

სამსახურს მოთხოვნილი საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით ხარჯები არ გაუწევია. ამასთან, ვინაიდან საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნაზე უარის თქმის შესახებ სამსახურში გადაწყვეტილება არ მიღებულა და შესაბამისად, არ გასაჩივრებულა, სამსახურს გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული, მათ შორის, მხარის სასარგებლოდ, თანხები არ გადაუხდია.